დამოუკიდებელი დირექტორის უფლებები და მოვალეობები

არსებობს დამოუკიდებელი დირექტორის შვიდი ნორმატიული საერთო მოვალეობა, რომლებიც პრაქტიკული მოსაზრებებით შეიძლება გამოიყენოს დირექტორმა იმის დასადგენად, თუ როგორ ასრულებს იგი თავის მოვალეობას. ეს სახელმძღვანელო არ არის იურიდიული დოკუმენტი და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამოიყენებოდეს იურიდიული კონსულტაცია.

1. დირექტორი უნდა მოქმედებდეს კომპანიის კონსტიტუციური დოკუმენტების შესაბამისად და იყენებდეს უფლებებს მხოლოდ იმ მიზნით, რასაც ისახავენ ეს დოკუმენტები.

2. დირექტორი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, კომპანიის წარმატების, მისი აქციონერებისა და დაკავშირებული პირების სასარგებლოდ. ამავე დროს, უნდა ითვალისწინებდეს (სხვა საკითხებთან ერთად) თუ რა შედეგს იქონიებს მისი გადაწყვეტილებები გრძელ ვადაში; თანამშრომლების, საზოგადოების და გარემოს ინტერესებს; კომპანიის სურვილს, შეინარჩუნოს ბიზნესის წარმოების მაღალი სტანდარტების რეპუტაცია.

3. დირექტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში.

4. დირექტორმა უნდა გამოიყენოს გულმოდგინე ადამიანისათვის დამახასიათებელი ყურადღება, უნარ-ჩვევები და სიბეჯითე. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს დირექტორისათვის საჭირო ზოგადი ცოდნა, უნარები და გამოცდილება თავისი პოზიციისთვის, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ტესტის მიხედვით.

5. დირექტორი უნდა ერიდებოდეს სიტუაციას, როდესაც მას ექნება, ან შეიძლება ჰქონდეს, პირდაპირი ან ირიბი ინტერესთა კონფლიქტი, ან შესაძლო კონფლიქტი კომპანიის ინტერესებთან და დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თუკი მსგავსი კონფლიქტი წარმოიშობა.

6. დირექტორმა, მისი როლიდან გამომდინარე, არ უნდა მიიღოს არანაირი სარგებელი მესამე მხარისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია ეს ჩაითვალოს ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლად.

7. დირექტორმა უნდა განაცხადოს სხვა დირექტორების წინაშე კომპანიასთან დაკავშირებულ გარიგებაში ნებისმიერი პირადი ინტერესის, სახეობის და მოცულობის შესახებ, მანამდე ვიდრე კომპანია მიიღებს მონაწილეობას გარიგებაში.

სხვა მოვალეობები, რაც უნდა გაითვალისწინოს დამოუკიდებელმა დირექტორმა

სხვა მოვალეობებთან ერთად, რაც შეიძლება მკაფიოდ იყოს გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, მიუხედავად არასრული სიისა, დირექტორის მოვალეობები უნდა მოიცავდეს:

სხვა მოვალეობებთან ერთად, რომლებიც შეიძლება მკაფიოდ იყოს დადგენილი მოქმედი კანონმდებლობით, დამოუკიდებელი დირექტორის მოვალეობები უნდა მოიცავდეს:

- კონფიდენციალობის მოვალეობა
- სათანადო დროის და ყურადღების დათმობის მოვალეობა
- აქციონერების მიმართ ანგარიშვალდებულების მოვალეობა
- „დაფარულ სარგებლზე“ უარის თქმის მოვალეობა
- კომპანიის აქტივებზე ზრუნვის მოვალეობა
- კეთილსინდისიერების ზოგადი მოვალეობა
- ანგარიშგების წარმოების მოვალეობა
- წლიური და საგადასახადო დეკლარირების მოვალეობა
- აუცილებელი ჩანაწერების წარმოების მოვალეობა
- მოვალეობა დარწმუნდეს, რომ კომპანია შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, მათ შორის, განსაკუთრებით, როდესაც არსებობს რისკები მესამე მხარის მიმართ, მაგალითად ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები.

დაკავშირებული პირები

დირექტორების ზოგიერთი მოვალეობები ვრცელდება მათთან „დაკავშირებულ პირებზეც“. მაგალითად, მოთხოვნა არსებულ ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების გაცხადებასთან დაკავშირებით. კომპანიის შიდა დოკუმენტი უნდა განსაზღვრავდეს დაკავშირებულ პირებს სრულად, მაგრამ, როგორც წესი, ეს ვრცელდება დირექტორის მეუღლეზე, შვილებზე ან პარტნიორებზე.